შ.პ.ს. აკვაჰიდრო
AQUAHYDRO LTD
443860252

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

როგორც თქვენთვის ცნობილია შპს „აკვაჰიდრო" (საიდენტიფიკაციო კოდი: 443860252) მესტიის მუნიციპალიტეტში ახორციელებს მცირე სიმძლავრის (7,4 მგვტ) ჰესის - „ნაკრა ჰესის" მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტს. ჰესის მოსაწყობად გამოიყენება მდ. ნაკრას კალაპოტის დაახლოებით 1090-900 მ ნიშნულებს შორის მონაკვეთი. პროექტზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრის მიერ გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა #45 (18.07.2017). დეტალური პროექტირების პროცეში საპროექტო ორგანიზაციის მხრიდან შემოთავზებული იქნა ჰესის სააგრეგატო შენობის განლაგების სხვა ტერიტორია. ადგილმდებარეობის ცვლილების შესაბამისად განსხვავებულია ჰესის სააგრეგატო შენობის ზოგიერთი პარამეტრი. ჰესის სხვა კომუნიკაციების ადგილმდებარეობა და პარამეტრები უცვლიელი რჩება.

პროექტში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას.

წერილს დანართის სახით თან ერთვის კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია, კერძოდ:

- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის, მათ შორის პროექტში შეტანილი ცვლილებების შესახებ;
- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და პროექტში შეტანილი ცვლილებების შედეგად შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა საპროექტო ცვლილებები გზშ-ს. წერილის დანართში წარმოდგენილი ინფორმაცია საკმაოდ დეტალურად ასახავს საპროექტო ცვლილებების შედეგად გარემოზე დამატებით მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხებს. აღსანიშნავია, რომ პროექტის მიმდინარეობის პარალელურად გაგრძელდება 2017 წელს გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული პირობების შესრულება, მათ შორის პროექტში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

მამუკა პაპუაშვილი

შპს „აკვაჰიდრო"-ს დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 5112
"05" 04 2019
1 ფ.
+ 02 +

შ.პ.ს. აკვაჰიდრო
AQUAHYDRO LTD
E-mail/ ელ. ფოსტა: mpapuashvili@bsenergo.com ტელ: (+995) 577448822